პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 21 0000303294

30/03/2021

სსიპ - კოლეჯი „თეთნულდში“ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „თეთნულდში“ (ს/კ: 235891512) „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 19 მარტი.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 30 მარტის №302813 ოქმის მეოთხე საკითხის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
კაკულია ნინო